ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2024 წლის 27 მარტი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა საქართველოს ნაკრების გამარჯვება ფეხბურთში და ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლა და უსურვა წარმატებები.

დღის წესრიგი:

1. „ფრაქცია „თავისუფალი პლატფორმის“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მეორე გურიფულში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ზაქარაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ფრაქცია „თავისუფალი პლატფორმის“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “განკარგულების პროექტის განხილვ

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ფრაქცია „თავისუფალი პლატფორმის“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ფრაქცია “თავისუფალი პლატფორმის“ თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია ფრაქციისთვის სახელწოდების ცვლილების თაობაზე, რომლის საფუძველზეც ფრაქციას ეწოდა „ახალი“. კომისიის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიაჩნია, რომ დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ფრაქციის სახელწოდების ცვლილებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი: „ფრაქცია „თავისუფალი პლატფორმის“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი წარდგენა ცნობის სახით.

დაადგინეს: წარმოდგენილიო ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N5 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-3 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის უფროსის ლ. შამათავას განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მიმდინარე წლის მარტში დაწყებულია რეორგანიზაციის პროცესი, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების შექმნის მიზნით. რეორგანიზაციის გეგმის შესაბამისად გათვალისწინებულია შესაბამისი ცვლილების პროექტების მომზადება საკრებულოს აპარატის დებულებაში და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ერთი ერთეულით განყოფილების უფროსის პოზიციის დამატებით იზრდება საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, ხოლო ორი პოზიცია - საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში და საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის საკითხებში მობილობის წესით იქნებიან გადაყვანილი ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მათი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N9 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N10 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 14518.6 ათასი ლარის და ასევე საგასავლო ნაწილში 14518.6 ათასი ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარ-დეკემბრის თვის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა შემოსულობების ნაწილში 23955.7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 30989.9 ათასი ლარი. 10314.7 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 23955.7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23507.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 98,1%. მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 23905.7 ათასი ლარი, ფაქტიურად 23349.8 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 97.7% და მთლიანი შემოსულობების - 99.3% შეადგინა. ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 4843,8 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 2443,9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 24,4 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან - 410,7 ათასი ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან - 1964,8 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 4902,4 ათასი ლარი) შედარებით 58,3 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადზე მოდის. დამატებული ღირებულების

გადასახადიდან მიღებულია 8127,2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 6655,4 ათასი ლარი) შედარებით 1471,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მიღებულია 8891,4 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 1280,1 ათასი ლარი, გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან - 909,9 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 59127,4 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 784,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 911,5 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 1487,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 163,1%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 1465,1 ათასი ლარი) შედარებით 22,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადათ ჯარიმები, სანქციები და საურავების მოსაკრებელზე და დეპოზიტზე განთავსებული თანხის პროცენტით მიღებულ შემოსავლებზე მოდის. მათ შორის: პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 526,5 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (414,0 ათასი ლარი) შედარებით 112,5 ათასი ლარით მეტია. რენტის სახით მობილიზებულია 335,3 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი - 263,3 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 72,0 ათასი ლარი. საქონლისა და მომსახურების რეალიზაციდან მიღებულია 115,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (59,5 ათასი ლარი) 193,8%-ია. მათ შორის: ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 89,8 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 77,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (32,8 ათასი ლარი) 234,8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (45,0 ათასი ლარი) შედარებით 32,0 ათასი ლარით მეტია. მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 25,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (17,7 ათასი ლარი) 144,1%-ია. ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 470,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (402,0 ათასი ლარი) 117,1%-ია. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში მიღებულია 157,6 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმიური 50,0 ათასი ლარის ნაცვლად. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 40,0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 117,6 ათასი ლარი. წელს გადასახდელების შესრულების 80,8%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (74,4%) მეტია, ხოლო თანხობრივად (2022 წელთან შედარებით) 5341,7 ათასი ლარით მეტი. 2023 წლის გადასახდელების შესრულების დაბალი პროცენტი ძირითადად განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა: ა) ,,ქალაქ ხობში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობის სამუშაოები"-ს ასიგნებაზე 2023 წლისათვის გათავალისწინებული

1756,2 ათასი ლარიდან ათვისებულ იქნა 648,3 ათასი ლარი; ბ) ხობის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სამუშაოებზე 2023 წლისათვის გამოყოფილი 1866,1 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა მხოლოდ 557,5 ათასი ლარი; გ) გარკვეული სუბიექტური და ობიექტური პირობებიდან გამომდინარე სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის გამოყოფილი 1109.8 ათასი ლარიდან ათვისებულ იქნა 986.9 ათასი ლარი; დ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 736,5 ათასი ლარიდან ათვისებულ იქნა 458,5 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N6 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

3. **ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიასა და სს „საქართველოს ბანკთან" გაფორმდა საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, საბანკო მომსახურების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში ბანკომატის განთავსების მიზნით, საქართველოს ბანკსა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიას შორის უნდა გაფორმდეს იჯარის ხელშეკრულება, მოთხოვნილ ფართზე საიჯარო ქირამ შპს „აუდიტი XXI"-ის შეფასებით, კომუნალური გადასახადების ჩათვლით შეადგინა თვეში 100 ლარი. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N7 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მეორე გურიფულში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მეორე გურიფულში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულებების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მეორე გურიფულში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ“, მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე, რაც გულისხმობს ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული უსახელო ქუჩის არაბული ციფრით სახელდებას. გამომსვლელის განცხადებით, პროექტში მცირეოდენი კორექტირების შეტანის შემდეგ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ზაქარაია, თ. ქირია, ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2024 წლის 27 მარტის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარი შუმანია
4. გოჩა ქაჯაია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. ლევანი ლიპარტია
9. დოდო გაბუნია
10. აკაკი მალანია
11. ია ჯიშკარიანი
12. ბექა ხარბედია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. გურიელ ქარდავა
16. მოგელი ხუხია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. სერგო ბერაია
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. ნინო ბოკუჩავა
22. ჯანსუღი ჯიშკარიანი
23. აკაკი ხურცილავა
24. თიდონ კუკავა
25. ლელა ადანაია
26. ფელიქსი წურწუმია
27. დიტო ხასია